F 141
1948

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეთერთმეტე

№ 4	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1948 г.

შინაარსი

1. ბრძანება № 599, დისციპლინის მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის . . . . . 2 გვ.
2. ბრძანება № 494, ოქროსა და ვერცხლის მედალზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა აკადემიური წარმატების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში . . . . . 12 „
3. ბრძანება № 153, რაიონისა და ქალაქის სასკ. ინსპექტორის, პედკაბინეტის გამგის, საშ. და რვაწლიანი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე შესაფერ მუშაკთა შერჩევისა და დამტკიცების შესახებ . . . . . 17 „
4. ბრძანება № 534, მცხეთის რაიონის მოზრდილთა საშ. სკოლის და სოფლის ახალგ. საღ. სკოლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 18 „
5. ბრძანება № 529, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 2, 5 და 9 საშ. სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 21 „
6. ბრძანება № 531, წალკის რაიონის მუშა ახალგაზრდობის საშ. სკოლებიშ მუშაობის გამორკვევის შედეგების შესახებ . . . . . 27 „

F 1054

თბილისი — 1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 599

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 24 მარტი

დისციპლინის მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის

შემოწმებით დადასტურებულია, რომ ქ. თბილისის მრავალ საშუალო სკოლაში სკოლის ხელმძღვანელები და მასწავლებლები მოსწავლეთა შორის დისციპლინის დანერგვის საქმეს მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ამ სკოლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ვაჟთა მე-2 (დირექტორი თავაძე), მე-10 (დირექტორი ლაბარტყავა), მე-14 (დირექტორი თაბუკაშვილი), მე-18 (დირექტორი შატბერაშვილი), მე-19 (დირექტორი კოტრიკაძე), 25-ე (დირექტორი არუთინოვი), 30-ე (დირექტორი ბრეგაძე) და ქალთა I (დირექტორი დარახველიძე), მე-II (დირექტორი პაპიანიანი), მე-12 (დირექტორი ჭავჭანიძე), 20-ე (დირექტორი სიხარულიძე), 23-ე (დირექტორი მელაძე), და 32-ე (დირექტორი ამირალიანი) სკოლები.

დასახელებულ სკოლათა პედაგოგიურ კოლექტივს ღრმად აქვს გაგებული ის დიდი მნიშვნელობა, რაც დისციპლინიანობის აღზრდას აქვს დაკისრებული ბეჯითი სწავლისა და ჩვენი ძლევამოსილი ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარე, შეგნებული, ინიციატივიანი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატურად წარმოება, საბჭოთა პედაგოგიკის პრინციპებიდან გამომდინარე სწორი და ერთიანი თვალსაზრისით მიდგომა აღმზრდელობითი მუშაობისადმი, მოსწავლეთა ინდივიდუალურად შესწავლა, მტკიცე კავშირი მოსწავლეთა მშობლებთან, მოსწავლეთა კოლექტივის უნარიანად გამოყენება, ქმედითი ხასიათის ზომების დროულად გატარება, რათა უდისციპლინობის უმნიშვნელო გამოვლინებაც კი არ

იქნეს გადაზრდილი დისციპლინის უხეშად დარღვევაში, განათლების სამინისტროს დირექტივების განუხრელად გატარება ამ სკოლების მუშაკთა ყოველდღიური ყურადღების საგანს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქ. თბილისის სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში დისციპლინის დონე მოსწავლეთა შორის დაბალია. ხშირ შემთხვევაში მოსწავლენი არ იცავენ სასკოლო რეჟიმს, იჩენენ საბჭოთა სკოლის მოსწავლისათვის შეუფერებელ საქციელს და, სამწუხაროდ, არაიშვიათად, თვით სკოლებსა, საზოგადოებრივ-საკრებულო ადგილებსა და ქუჩაში არსებული წესების უხეშ დარღვევასაც არ ერიდებიან.

უდისციპლინობა უპირველესყოვლისა მკვეთრად იჩენს თავს სკოლის რეჟიმის დარღვევაში. გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენამ, გამოტოვებამ და უკანასკნელი გაკვეთილებიდან გაპარვამ განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო ქ. თბილისის ვაჟთა მე 16,29-ე, 38-ე და ქალთა მე-16 და 34-ე საშუალო სკოლებში. მაგალითად, ვაჟთა 38-ე საშუალო სკოლის (ყოფ. დირექ. გედევანიშვილი) IV კლასიდან სისტემატურად იპარება 10—13 მოსწავლე, ამ კლასში მეორე მეოთხედში უმიზეზოდ გაცდენილია 1248 გაკვეთილი. ქალთა 34-ე საშუალო სკოლაში (დირ. ფხაკაძე) მეორე მეოთხედში გაცდენილია 5082 გაკვეთილი. ამ სკოლის მე-8 კლასის 33 მოსწავლიდან 31 დეკემბერს სკოლაში არ გამოცხადებულა 20 მოსწავლე, ხოლო მე-9 კლასში 30 მოსწავლიდან გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს 9—10 მოსწავლე; ქალთა მე-16 სკოლის (დირექტ. დეკაბრელევიჩი) მე-9 კლასის 9 მოსწავლე სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს და იპარება გაკვეთილებიდან. ვაჟთა მე-16 სკოლის (დირ. ხვიჩია) მე-2 კლასის მოსწავლეები დიდი რაოდენობით და ხშირად აცდენენ გაკვეთილებს. მსგავს შემთხვევებს აქვს ადგილი ზოგიერთ სხვა სკოლაშიაც.

გავრცელებულია აგრეთვე უდისციპლინობის ისეთი გამოვლინებანი, როგორიცაა სასკოლო ქონებისა და სასწავლო ნივთებისადმი არაფრთხილი დამოკიდებულება და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაუცველობა. ქ. თბილისის სკოლების მრავალი მოსწავლის წიგნები და რვეულები მოუვლელია, დასვრილ-დაჯღაბნილია, სასწავლო წლის დასაწყისში ახლად შეთეთრებული კედლები წარწერებით არის აჭრელებული, მერხები და სკამების გარეპირები ამოჭრილია, ხშირია ფანჯრებისა და სასკოლო დგამავეჯის დამტვრევის შემთხვევები, მრავალ სკოლაში საკლასო ოთახებსა და დერეფნებში ჭუჭყი და ქაღალდის ნახევები ყრია. ბევრ სკოლაში მოსწავლენი არ ასრულებენ მასწავლებელთა დავალებებს. მოსწავლენი განსაკუთრებით უფ-

როს კლასებში, უწიგნოდ ცხადდებიან გაკვეთილებზე, არ მოაქვთ რვეულები და კალმისტრები.

მრავალი სკოლის მოსწავლენი არათავაზიანად ეპყრობიან უფროსებს, მოხუცებსა და ბავშვებს და ზოგჯერ მასწავლებლებსაც. უდიერ შეკამათებასაც არ ერიდებიან; ასე, მაგალითად, ქალთა მე-13 საშუალო სკოლის (დირ. ხუსკივაძე) მოსწავლეები: ყ-ი, ჟ-ი, წ-ი, ყ-ძე, აბუჩად იგდებდნენ მასწავლებლებს; ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლის (დირ. სურგულაძე) მე-6 კლასის მოსწავლე ფ-ძე შეურაცხყოფას აყენებდა მასწავლებლებს, ამხანაგებს, იფუჭებდა სასკოლო ქონებას ვაჟთა 31-ე საშუალო სკოლის (დირ. ბახშინიანი) მე-6 კლასის მოსწავლე ე-ა თავხედობდა მასწავლებლების წინაშე, უდიერად ეპყრობოდა ამხანაგებს.

ზოგიერთი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლენი უხეშად არღვევენ ქუჩაში მოძრაობისა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებისათვის დადგენილ წესებს: ურიგოდ შესვლა ტრამვაებსა, ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში, შეხტომა-ჩამოკიდება და გადმოხტომა მასობრივ ხასიათს ატარებს; არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსწავლენი მათთვის აკრძალულ დღეებსა და დროს ესწრებიან სპექტაკლებს, ურიგოდ მიდიან საბილეთო სალაროებთან, ხმაურობენ და არღვევენ წესრიგს; ასე, მაგალითად, რუსთაველის სახელობის კინო-თეატრში 19/XII 20 საათის შემდეგ სურათს ესწრებოდა ქალთა მე-6 (დირ. ჩიჩუა), მე-10 (დირექტ. გიორგობიანი) და ვაჟთა 32-ე (დირ. მელაძე) საშუალო სკოლის მოსწავლეები; 21/XII კინოთეატრ „კოლმეურნეობაში" სეანსებს მრავლად ესწრებოდნენ ვაჟთა მე-13 (დირ. ი. ბახტაძე) და 22-ე (დირ. გ. მესხიშვილი) საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი მასწავლებლების ზედამხედველობის გარეშე იყვნენ მიტოვებულნი, უწესოდ იქცეოდნენ, ხმაურობდნენ უწმაწურ სიტყვებს, ერთმანეთს ართმევდნენ ბილეთებს, ნივთებს, წესრიგისაკენ მოწოდებისათვის უხეშად პასუხობდნენ უფროსებს და სხვ.

ყოველივე ამასთან ერთად, ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა შორის კიდევ ვხვდებით სასწავლო ნივთების ქურდობის შემთხვევებს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ქ. თბილისის მრავალ სკოლაში საალმზრდელო მუშაობის დარგში ერთიანი ღონისძიებანი არ ტარდება, ზოგიერთი სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებელი სათანადოდ ვერ ერკვევა საბჭოთა პედაგოგიკის ძირითად მოთხოვნილებებში სწავლების მჭიდროდ

დაკავშირების შესახებ საალმზრდელო მუშაობასთან, ჯეროვნად ვერ იცნობს განათლების სამინისტროს დირექტივებს და მოსწავლეებთან აღმზრდელობით მუშაობას ატარებს უშინაარსოდ, ზერელედ, ფორმალურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობა გაგებულია, როგორც დამატებითი ღონისძიება, რომელსაც მხოლოდ კლასის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი უნდა ატარებდნენ. ვაჟთა 38-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე რ-ძე სისტემატურად არღვევდა დისციპლინას, შლიდა გაკვეთილებს, თამაშობდა ზარს, ქიმიის კაბინეტში დაამტვრია ხელსაწყოები, ალგებრის მასწავლებელს მიაყენა შეურაცხყოფა და სხვ. პედსაბჭომ მხოლოდ ერთხელ მოიხსენა ამ მოსწავლის საკითხი, არა იმ მიზნით, რომ საერთო პედაგოგიური ღონისძიებანი გამოემუშავებია ამ მოსწავლის გამოსასწორებლად, არამედ დაავალა კლასის ხელმძღვანელს დაეგროვებია დამატებითი მასალა ამ მოსწავლის სკოლიდან გასარიცხად. ქალთა მე-13, 16, ვაჟთა 31-ე და სხვა სკოლებში მოსწავლეები სისტემატურად არღვევენ დისციპლინას, არ ცხადდებიან გაკვეთილებზე, არ ამზადებენ გაკვეთილებს და უსაქმოდ დადიან ქუჩაში, მაგრამ ამ გარემოებას სკოლების პედაგოგიური კოლექტივი არ აქცევს ყურადღებას, ეს მათ კლასის ხელმძღვანელების საქმედ მიაჩნიათ. ვაჟთა მე-16 სკოლის მე-7 კლასში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევას ხშირ შემთხვევებს. კლასის ხელმძღვანელი მასწ. ბეგლაროვი დისციპლინის დარღვევის შესახებ ცნობას აძლევდა დირექტორს, დირექტორი მასწ. ბეგლაროვას ავალებდა გამოესწორებინა მდგომარეობა, ხოლო ბეგლაროვა დირექტორისაგან მოელოდა გადამჭრელი ზომების მიღებას.

ზოგი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი კმაყოფილდება დისციპლინის დარღვევისა და უწესო ქცევის გამოვლინების ფაქტის დადგენით და საჭირო ზომებს არ ღებულობს ასეთი ფაქტების წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად. ასე, მაგალითად, ვაჟთა მე-9 სკოლაში (დირ. გაჩეჩილაძე) პედსაბჭოს მიერ მხოლოდ აღრიცხულია მოსწავლეთა უწესო ქცევის შემთხვევები: მე-5 კლასის მოსწავლეს ა-ლს გაცდენილი აქვს 17 გაკვეთილი, დაუგვიანებია 9-ჯერ, მე-6 კლასის მოსწავლეს ს-ს გაცდენილი აქვს 20 გაკვეთილი, გაპარულია გაკვეთილიდან 15-ჯერ; ქალთა მე-13, 16 და ვაჟთა 31-ე საშუალო სკოლების პედსაბჭოს ოქმებში აღრიცხულია ფაქტები, ამდენმა მოსწავლემ გაკვეთილი გააცდინა, ამდენი მოს-

წავლე გაკვეთილიდან გაიპარა, ამდენმა მოსწავლემ გაკვეთილზე წესრიგი დაარღვია და სხვა და არავითარი ღონისძიება არ არის დასახული მსგავსი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე არ არის ისეთი შემთხვევები, როცა აღმზრდელობითი მუშაობას შიშველი ადმინისტრირება ცვლის და დასჯის ღონისძიებანი გამოყენებულია არა მოსწავლეთა მასის აღსაზრდელად, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ უდისციპლინობაში შემჩნეული მოსწავლე თავიდან მოიცილონ. ასე, მაგალითად, ვაჟთა მე-3 საშუალო სკოლაში პირველ მეოთხედის შედეგებთან დაკავშირებით უწესო ქცევისათვის პედსაბჭოს ერთ სხდომაზე 102 მოსწავლეს დაეწია ნიშანი ყოფაქცევაში. ვაჟთა მე-9 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს ო-ს შვიდი გაკვეთილის გაცდენისა და 14 გაკვეთილზე დაგვიანებისათვის დაეწერა ყოფაქცევაში ნიშანი „4", იმავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს 34 გაკვეთილის გაცდენისა და ექვს საგანში ცუდი ნიშნის მიღებისათვის დაეწერა ყოფაქცევაში — „4", ვაჟთა 31-ე სკოლის მე-3 კლასის ხელმძღვანელმა ბეგლარიანმა 4 მოსწავლე აღზრდის ნაცვლად სკოლიდან მოიშორა და თავისუფლად ამოისუნთქა' და ა. შ.

მშობელთა შორის მუშაობა არ არის სათანადოდ გაშლილი. ხშირ შემთხვევაში მშობლები არ იცნობენ „წესებს მოსწავლეთათვის", არ იცნობენ აღზრდის დარგში სკოლის მიერ მიღებულ ღონისძიებებს, არ დადიან სკოლაში და არ ეცნობიან თავიანთი შვილების სწავლისა და ყოფაქცევის მდგომარეობას, ხოლო სკოლაში გამოცხადდებიან მაშინ, როცა „საგანგებო მდგომარეობის" გამო გამოუძახებენ. ეს იმის შედეგია, რომ ზოგი სკოლა არ აფასებს ოჯახის მნიშვნელობას აღზრდის საქმეში, არ ეწევა სისტემატურად მშობლებს შორის პედაგოგიურ ახსნა-განმარტებას და არ ღებულობს გადამჭრელ ზომებს სკოლისა და ოჯახის დაახლოებისათვის.

განსაკუთრებით მივაქცევ სკოლის მუშაკთა ყურადღებას იმ დაუშვებელ გარემოებაზე, რომ „მოსწავლეთა წესების" ჩვევად გადაქცევის მიზნით სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში არსებითად არაფერი კეთდება და „წესების" შესწავლა მომაბეზრებელ, უშინაარსო ფორმალურ საქმიანობად არის ქცეული.

ბევრი სკოლის მოსწავლეები არ იცნობენ წესების ცალკეულ მუხლებს. ზოგი იცნობს, ზეპირადაც იცის, მაგრამ არ ასრულებს. ზოგ სკოლაში „წესების" დანერგვა I და XI კლასების მოსწავლეებში ერთნაირ ხერხითა და მეთოდით აწარმოებენ. ამ სკოლებში

ძივიწყებულია ინვალიდობის მოთხოვნილება, კონკრეტული მაგალითების ჩვენება და მაგალითების მრავალსახეობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინის განმტკიცების დარგში არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I

სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) მთელ სასკოლო მუშაობაში დანერგონ მტკიცე და ურყევი რეჟიმი, რომელიც წლიდან წლამდე მოქმედებს ერთნაირი სიზუსტით,—მეცადინეობა იწყება და თავდება დაწესებულ საათებში, სკოლის ყველა მუშაკმა ზუსტად იცის თავისი მოვალეობა და განუხრელად და კეთილსინდისიერად ასრულებს მას, პედკოლექტივი ერთიანი მოთხოვნების საფუძველზე, გონიერი პედაგოგიური ტაქტით და თანამიმდევრულად აწარმოებს აღმზრდელობით მუშაობას;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ცალკეულ კლასებისა და საგნების მასწავლებელთა მუშაობა აღმზრდელობით დარგში, პირადად მიიღონ ზომები შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი მოხერხებულად იყენებდეს სასწავლო მასალას საალმზრდელო მიზნით, კერძოდ, მოსწავლეებში მტკიცე დისციპლინიანობის აღზრდის მიზნით;

გ) უშუალო მონაწილეობა მიიღონ კლასის ხელმძღვანელთა გეგმების შედგენაში, სისტემატურად შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა, გაუწიონ მათ საქმიანი დახმარება; საალმზრდელო მუშაობის მიმდინარეობის შედეგები ხშირად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და ფართოდ განაზოგადონ მოწინავე კლასის ხელმძღვანელთა გამოცდილება;

დ) დასჯის ღონისძიება გამოიყენონ იმგვარად, რომ იგი მოსწავლეებში იწვევდეს არა შურისძიებისა და სასოწარკვეთილების გრძნობას, არამედ სინანულს ჩადენილი დანაშაულის გამო და ამავე დროს გამოსწორების სურვილსა და რწმენას, რომ მოსწავლე შესძლებს თავის ყოფაქცევის გამოსწორებას; სასჯელის დადება ხდებოდეს მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის საფუძველზე,—გათვალისწინებული იქნას მოსწავლის ასაკი, მისი ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენამდე, პირველად არის ჩადენილი დანაშაული, თუ მეორედ, განზრახ არის ჩადენილი, თუ—შემთხვევით; მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მოსწავლის მიმართ გამოყენებული

სსაჯელი გამაფრთხილებელ საშუალებას წარმოადგენდეს სხვა მოსწავლეებისათვის!

ე) წახალისების ზომები იმგვარად გამოიყენონ, რომ მოსწავლეებში ისინი აღვივებდნენ სწავლის ინტერესს, ზრდიდეს მათში სკოლასა და სკოლისგარეთ წესრიგის მტკიცედ დაცვის შეგნებას; მიაღწიონ იმას, რომ ცალკე მოსწავლის წახალისება მაგალითი გახდეს სხვა მოსწავლეებისათვის საუკეთესო სწავლისა და დისციპლინის დარგში;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა იდეური დონისა და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლების საქმეს — მოაწყონ სკოლაში ლექციები, საუბრები, კონსულტაციები, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება, კოლექტიური კითხვა — გარჩევა სათანადო სტატიებისა და შეუქმნან მასწავლებლებს პირობები, რათა ისინი სისტემატურად კითხულობდნენ დამოუკიდებლად პოლიტიკურ, მხატვრულ და პედაგოგიურ ლიტერატურას;

გ) უხელმძღვანელონ კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას; მიაღწიონ იმას, რომ სწავლასა და ყოფაქცევაში კომკავშირელები და პიონერები მაგალითის მაჩვენებლები იყვნენ, უცხადებდნენ სასტიკ ბრძოლას სიზარმაცეს, ქედმაღლობას, უფროსებისადმი და ამხანაგებისადმი უხეშ დამოკიდებულებას, საზოგადოებრივ ქონების გაფუჭებას, გაცდენა-დაგვიანებას და ნამდვილად ეხმარებოდნენ სკოლის მუშაკებს მოსწავლეებში მაღალი მორალური თვისებების აღზრდის საქმეში.

II

კლასების ხელმძღვანელებმა და ცალკე საგნების მასწავლებლებმა:

ა) მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება ორგანულად და მტკიცედ დაუკავშირონ აღზრდის ამოცანებს, — სწავლება იმგვარად წარმართონ, რომ ახალგაზრდებში იზრდებოდეს უანგარო პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის თავგანწირვის უნარი და შეუდრეკელი ნებისყოფა, რომ ახალგაზრდობა იმსჭვალებოდეს სიყვარულით პროგრესისა და ცოდნისადმი და ზიზღით და სიძულვილით — რეაქციისა და ჩამორჩენილობისადმი, ამპარტავნობისა, ეგოიზმისა და მედიდურობისადმი, სიზარმაცისა და ლაჩრობისადმი;

ბ) პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანონ დისციპლინიანობის აღზრდა, — განამტკიცონ ახალგაზრდობაში ზნეობრივი მოვალეობის,

საკუთარი ადამიანური ღირსებისა, ადამიანის მაღალი დანიშნულებისა და პირადი მოქმედების სახელმწიფოს ინტერესებისადმი დამორჩილების შეგნება; დისციპლინის ყოველი უმნიშვნელო დარღვევა, ასევე შემთხვევაში, ასეთი შემთხვევების ძირშივე აღკვეთის მიზნით, გაატარონ ქმედითი ხასიათის ღონისძიებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) თითოეული მოსწავლისა და მოსწავლეთა მთელი კოლექტივის ზუსტად შესწავლის საფუძველზე ააგონ მეოთხედური საალმზრდელო გეგმები და ყოველდღიურად იმუშაონ იმ მიმართულებით, რომ გეგმის ყოველი მუხლი დროულად და ზუსტად ხორციელდებოდეს;

დ) აქტიური დახმარება გაუწიონ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს მუშაობაში; მიაღწიონ იმას, რომ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარების საქმეში ეს ორგანიზაციები მასწავლებლის ნამდვილი თანაშემწენი გახდნენ.

III

„მოსწავლეთა წესების“ მტკიცედ დანერგვის მიზნით:

ა) ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1944 წლის 17 მარტის ბრძანების „მოსწავლეთა წესების შესახებ“;

ბ) მთელს სკოლაში წესების გატარების დარგში დამყარებული იქნეს ერთიანი თვალსაზრისი, მიდგომა,—სკოლის ყოველი მუშაკი სთხოვდეს ყოველ მოსწავლეს ყოველდღიურად წესების განუხრელად გატარებას კლასში, დერეფანში, ეზოში, ქუჩაში, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში და ოჯახში;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „წესების“ იმ მუხლებს, რომლებიც ეხებიან საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, უფროსებისა და ამხანაგებისადმი პატივისცემით მოპყრობისა და სკოლისა და საზოგადოების წინაშე მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შეგნების აღზრდას.

IV

არსებითად იქნეს გაუმჯობესებული მუშაობა მშობელთა შორის:

ა) აღმოფხვრილი იქნეს ისეთი პრაქტიკა, როცა მშობლებთან შეხვედრა ხდება მხოლოდ მეოთხედების ბოლოს მშობელთა კრებებზე, კლასის ხელმძღვანელებმა, სკოლის დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ მშობლებთან, ხშირად

შეხვდნენ მათ და უზრუნველჰყონ ბავშვის მიმართ სკოლასა და ოჯახში ერთობლივ საალმზრდელო ღონისძიებათა გატარება;

ბ) სისტემატური ხასიათი მიეცეს მშობელთა მორიგეობას სკოლაში;

გ) გარდაიქმნას მშობელთა კომიტეტების მუშაობა იმგვარად, რომ კომიტეტები ნამდვილად უწევდნენ დახმარებას სკოლას მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაში, ხელს უწყობდნენ სკოლას მშობლებთან საუბრების, ლექციების, კონსულტაციების ჩატარებაში და სკოლის აღმზრდელობით ღონისძიებათა პოპულარიზების საქმეში;

დ) შემოღებულ იქნეს როგორც წესი სკოლის დირექტორების მიერ კლასის ხელმძღვანელებთან და მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად მოსწავლეთა ყოფაცხოვრების შესწავლა ოჯახში და თითოეული მოსწავლისათვის საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დახმარების აღმოჩენა.

V

ზუსტად მოწესრიგდეს სკოლის ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და წარმოებებთან:

ა) სკოლამ მჭიდრო კავშირი დაამყაროს საზოგადოებრივ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებთან, სათანადო მოთხოვნილებები წაუყენოს მათ მოსწავლეთა სკოლისგარეთ ქცევაზე ზედამხედველობის დაწესების დარგში და მოითხოვოს ამ მოთხოვნილებების მტკიცედ შესრულება;

ბ) სკოლამ მოაწყოს პედაგოგიური პროპაგანდა მოსახლეობაში: საუბრები, ლექციები, კონსულტაციები აღზრდის საკითხებზე; გაამახვილოს პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების ყურადღება ამ საკითხებზე და შექმნას საზოგადოებრივი აზრი სკოლისადმი დახმარების აუცილებლობის შესახებ;

გ) სკოლამ გაშალოს სათანადო მუშაობა, რათა ბაღებში, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, მაღაზიებში და სხვ. ამ დაწესებულებათა უფროსები ადევნებდნენ თვალყურს მოსწავლეთა საქციელს და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში ამის შესახებ ატყობინებდნენ განათლების ორგანოებსა და სკოლებს;

დ) გაძლიერდეს მშობლებისა და სკოლის მორიგეობა საღამოობით ისეთ ადგილებში, სადაც მოსწავლენი იყრიან თავს.

VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისგარეშე დაწესებულებებმა ზუსტად დაიცვან მუშაობის რეჟიმი, არ დაუშვან მოსწავლეთა გადატვირთვა დავალებებით და განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესონ, რომ სკოლისგარეშე მუშაობაში ჩაბმულ ყოველ მოსწავლეს ღირსეულად ეჭიროს თავი და საბჭოთა მოსწავლის სახელს არ არცხვენდეს.

VII

თბილისის განათლების განყოფილებამ:

ა) სკოლის ყოველი გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლაში დისციპლინის მდგომარეობის შემოწმებას, მიიღოს ზომები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და დასაჯოს სკოლის ის მუშაკები, რომლებიც აღზრდის დარგში განათლების სამინისტროს დირექტივების შესრულების საქმეში გულგრილობას იჩენენ;

ბ) საალმზრდელო მუშაობის დარგში სკოლებისათვის დახმარების საქმეში ფართოდ ჩააბას თბილისის პედაგოგიური კაბინეტი და მისი საშუალებით სისტემატურად აწარმოოს მოწინავე მასწავლებლების გამოცდილების განზოგადოება.

VIII

იმასთან დაკავშირებით, რომ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტნაკლებად რესპუბლიკის ყველა სკოლისათვის არის დამახასიათებელი, წინადადება მიეკეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, დაწყებით, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს იხელმძღვანელონ ამ ბრძანებით და განუხრელად გაატარონ ის ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 494

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 4 მარტი

ოქროსა და ვერცხლის მედალზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა აკადემიური წარმატების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში

ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა, კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა, სამედიცინო, სტომატოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში პირველი სემესტრის სასესიო გამოცდების შედეგებმა დაადასტურა, რომ გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მომზადების დონე, გაფართოებულია მათი საერთო კულტურის ჰორიზონტი:

სასესიო გამოცდებმა ნათელჰყო, რომ საშუალო სკოლების, კერძოდ, ოქროსა და ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა მტკიცედ არის დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს და სავსებით მომზადებულია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ 561 მედალოსნიდან 303-მა მიმდინარე წელს ყველა სასესიო გამოცდა „5"-ზე ჩააბარა.

განსაკუთრებით კარგი შედეგებია სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 241 მედალოსნიდან ყველა სასესიო საგანი ჩააბარა და მიიღო შეფასება „5" 130 მედალოსანმა, ხოლო 80 გამოცდები „5"-ზე და „4"-ზე ჩააბარა. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ქ. თბილისის ქალთა 1, 3, 4, 5, 6, 23-ე, 34 ე, 39-ე და ვაჟთა 1, 3, 7, 8, 9, ქ. ქუთაისის ვაჟთა 1, ახალი აბაშის, ლანჩხუთის რაიონის მამათის, ცხაკაიას ვაჟთა 1, სამტრედიის ქალთა, თბილისის მუშა ახალგაზრდობის 2, ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის, თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის,

ხარაგაულის რაიონის კიცხის, გორის რაიონის მეჯვრისხევის, მაიაკოვსკის, წულუკიძის ვაჟთა, ახმეტის რაიონის მატაანის, თელავის ქალთა 1, ხაშურის ქალთა 1, ბათუმის ქალთა 1, გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს, თელავის მე-5 რუსულ და მახარაძის ვაჟთა სკოლების მიერ გამოშვებულმა მედალოსნებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მედალოსანთა ერთმა ნაწილმა სასესიო გამოცდებზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, ისტორიის, ფიზიკის, ქიმიის და მათემატიკის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნა, რაც მოწმობს იმას, რომ ზოგ სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და ჯერ კიდევ ადგილი აქვს ლიბერალიზმისა და თვალისახვევის ფაქტებს ცოდნის შეფასების საქმეში.

ასე, მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიშანი „2" მიიღო: თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მოსწ.—გ. ნ. (მათემატიკურ ანალიზში, მასწ. კაკაურიძე); ხარაგაულის ქალთა საშუალო სკოლის მოსწ.—გ. ი. (ანალიზურ გეომეტრიაში, მასწ. ნ. ბუაჩიძე); სამტრედიის რაიონის, ღანირის საშუალო სკოლის მოსწ.—შ. ე. (მათემატიკურ ანალიზში და ანალიზურ გეომეტრიაში, მასწ. კვანტალიანი); ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის მოსწ. ბ. ტ. (რუსულ ენაში, მასწ. ხ. არზიანი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 128 მედალოსნიდან ყველა სასესიო საგანი მაღალ ნიშანზე მხოლოდ 19 მოსწავლემ ჩააბარა, ნიშანი „3" მიიღო 37, ნიშანი „2"—შვიდმა, ხოლო დანარჩენებს ან სრულიად არ ჩაუბარებია გამოცდები, ან მხოლოდ თითო საგანი ჩააბარეს. შეფასება „2" მიიღეს შემდეგი სკოლების მედალოსნებმა: ქ. თბილისის 37—ე ვაჟთა სკოლის მოსწ.—ა. თ. (არაორგანულ ქიმიაში, მასწ. ჭანტურიშვილი); ქ. სოხუმის ქალთა I სკოლის მოსწავლე თ. ნ. (არაორგანულ ქიმიაში, მასწ. წერეთელი); ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწ.—თ. რ. (არაორგანულ ქიმიაში, მასწ. ო. თავაძე); კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლე—დ. ა. (ქიმიაში, მასწ. ი. ტლაშაძე); სურამის II სკოლის მოსწავლე—კ. ნ. (არაორგანულ ქიმიაში, მასწ. თ. სირბილაძე); ხაშურის რ. ქვიშხეთის საშუალო სკოლის მოსწავლე-ლ. მ. არაორგანულ ქიმიაში, მასწ. კ. დანგაძე). არ ჩაუბარებიათ არც ერთი საგანი: გალის II საშუალო სკოლის მოსწავლე—ს. მ; გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწ.-ქ. ე. ბათომის ქალთა II სკოლის მოსწავლე – ნ. ქ; სტალინირის ქალთა რუსული საშუალო სკოლის მოს-

წავლე — ც. ე.; ქვემოსვანეთის რაიონის ჩალაურის საშუალო სკოლის მოსწავლე — ბ. დ; ონის ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე — ბ. თ; ორთაბათუმის საშუალო სკოლის მოსწავლე — ქ. დ; არ ჩაუბარებია ორი სასესიო საგნიდან თითო საგანი: გეგეჭკორის რაიონის ბანძის საშუალო სკოლის მოსწავლე — კ. დ. (არაორგანულ ქიმიაში), ფოთის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე — კ. მ. (არაორგანულ ქიმიაში), ზესტაფონის ქალთა II სკოლის მოსწავლე — ს. რ. (ფიზიკაში), ქუთაისის ვაჟთა II სკოლის მოსწავლე — მ. ზ. (არაორგანულ ქიმიაში), თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის საშუალო სკოლის მოსწავლე — ბ. ლ. (ქიმიაში), ახმეტის საშუალო სკოლის მოსწავლე — ჩ. ი. (ქიმიაში), ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლის მოსწავლე — მ. ნ. (ქიმიაში), ბათუმის ქალთა II სკოლის მოსწავლე — კ. ძ. (ქიმიაში), გუდაუთის საშუალო სკოლის მოსწავლე — ბ. ე. (ქიმიაში), ბათუმის ქალთა პირველი სკოლის მოსწავლე — ბ. ლ. (ფიზიკაში), თბილისის რაიონის ავჭალის საშუალო სკოლის მოსწავლე — მ. ლ. (ფიზიკაში), ხობის საშუალო სკოლის მოსწავლე — ა. პ. (ფიზიკაში), გეგეჭკორის საშუალო სკოლის მოსწ. — ფ. ზ. (ფიზიკაში), წულუკიძის რ. კინჩხას საშუალო სკოლის მოსწავლე — ქ. ლ. (ფიზიკაში), თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლის მოსწ. — გ. მ. (ქიმიაში), თბილისის რაიონის ნორიოს სკოლის — ტ. ლ. (ფიზიკაში).

კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩარიცხულ 134 მედალოსნიდან ნიშანი „5" მიიღო 45 მედალოსანმა, ხოლო 77-მა მიიღო ნაშანი „4" და „3". ერთი მედალოსანი (გეგეჭკორის რ. სერგიეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ჭ. ტ.) სრულიად გაირიცხა ინსტიტუტიდან; ცხაკაიას რ. ძვ. სენაკის საშუალო სკოლის მედალოსანმა ქ. რ. მიიღო „2" უმაღლეს მათემატიკაში, ხოლო ფიზიკა სრულიად არ ჩაუბარებია; თელავის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მედალოსანმა ს. რ. მიიღო „2" უმაღლეს მათემატიკაში, ხოლო თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლის მედალოსანს ფ. თ. სრულიად არ ჩაუბარებია გამოცდა ფიზიკასა და უმაღლეს მათემატიკაში.

სტომატოლოგიურ ინსტიტუტში 19 მედალოსნიდან მაღალი შეფასება მიიღო 14-მა მოსწავლემ, ხოლო ხუთმა მიიღო „4" და „3".

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 12 მედალოსნიდან ჩააბარა ყველა საგანი და მიიღო ნიშანი „5" შვიდმა მოსწავლემ, ხოლო დანარჩენებს ყველა საგანში მიღებული აქვთ ნიშანი „3".

პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში 10 ექვალიფიკაციიდან ყველა საგანი ჩააბარა და მიიღო „5“ 8 მოსწავლემ, ხოლო ორმა ყველა საგანში მიიღო „3“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ცხაკაიას ქალთა, გალის 1, წულუკიძის ქალთა, ჩხოროწყუს, თბილისის ქალთა 35-ე, გურჯაანის რაიონის ველისციხის, სამტრედიის რ. კულაშის, ბათუმის ვაჟთა II, ძვ. ჩხოროწყუს, საჩხერის, წალენჯიხის, წულუკიძის მოზრდილთა მაღალი ტიპის, ქობულეთის, თბილისის ქალთა 36-ე, თელავის ვაჟთა 1, ცხაკაიას ვაჟთა II, თბილისის ვაჟთა 37-ე, თელავის ქალთა I, ბათუმის ქალთა 1 და II, სოხუმის ქალთა 1, ბათუმის ვაჟთა II, სოხუმის ქალთა II, სტალინირის ვაჟთა რუსული, სტალინირის ქალთა რუსული, გეგეჭკორის რ. ბანძის, ფოთის ქალთა 1, ზესტაფონის ქალთა II, ქუთაისის ქალთა მე—8, გურჯაანის, ახმეტის, ქარელის რაიონის აგარის, ონის ვაჟთა, ავჭალის, ბორჯომის ვაჟთა, ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის, ონის ქალთა, ქლუხორის, თბილისის რაიონის ნორიოს, ჩხარის რაიონის თუზის, ორთაბათუმის, გალის რაიონის ოტობაიას, წალკისა და მარნეულის საშუალო სკოლების მედალოსანმა მოსწავლეებმა, რომლებმაც სასესიო გამოცდებზე ყველა საგანში მიიღეს ნიშანი „3“.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლის დირექტორების ნაწილის სუსტი კონტროლის შედეგად მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ უღირსი მოსწავლენი, რის გამოც

ვბრძანებ:

1. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი ნაკლები პასუხისმგებლობისა და ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობაზე ისეთი კანდიდატების წარმოდგენისათვის, რომლებმაც სასესიო გამოცდებზე მიიღეს ნიშანი „2“ მიეთითოს:

ა) ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორს—გუნიას;

ბ) თბილისის ქალთა მე—19 საშ. სკოლის დირექტორს—სოფიო მორჩილაძეს;

გ) ხარაგაულის საშუალო სკოლის დირექტორს—რაისა გველესიანს;

დ) სამტრედიის რაიონის ღანირის საშუალო სკოლის დირექტორს—პაშა გალდავას;

ე) თბილისის 37-ე ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს—ნ. სიჭინავას;

ვ) ქ. სოხუმის ქალთა პირველი სკოლის დირექტორს—კ. მიშველიძეს;

ზ) კასპის რ. სოფ. ახალქალაქის საშ. სკ. დირექტორს—ვ. მახარაძეს;

თ) ხაშურის რაიონის სურამის II სკოლის. დირექტორს—ი. ჩახუნაშვილს;

ი) ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორს—ი. მაჩხანაშვილს;

კ) ცხაკაიას რაიონის, ძვ. სენაკის საშუალო სკოლის დირექტორს—ა. ქუჩულორიას;

ლ) თელავის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორს—გ. კირვალიძეს.

2. დაევალოს ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს სასწავლო წლის დასრულებამდე დარჩენილი დრო გამოიყენონ რაიონის (ქალაქის) სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმებისათვის და არ დაუშვან ულირს მოსწავლეთა წარმოდგენა სწავლაში წარჩინებისათვის მედლით დასაჯილდოებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს რაიონების (ქალაქების) სკოლების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისწორესა და ობიექტურობას, შეამოწმოს თუ რამდენად ამართლებენ ხუთოსანი მოსწავლეები სკოლის მაღალ შეფასებას და გააძლიეროს კონტროლი დასაჯილდოებლად წარმოდგენილ კანდიდატის სწორად შეფასებაზე.

4. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს ა. წ. 20 მარტამდე ეს ბრძანება განიხილონ საშუალო სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირზე, ხოლო სკოლის დირექტორებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ბრძანება № 153

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 26 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ-ის რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორის, პედკაბინეტის გამგის (ან მეთოდისტის) საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე შესაფერ მუშაკთა შერჩევისა და მათი დასახელებულ თანამდებობაზე დამტკიცებისათვის

ბრძანებ:

1 ა/წ 1 მარტიდან რაიონის და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორის, პედკაბინეტის გამგის (ან მეთოდისტის), საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე შესაფერი მუშაკის სამუშაოდ დანიშვნა დამტკიცებულ იქნეს მათი საქართველოს სსრ-ის განათლების სამინისტროში გამოცხადების შემდეგ.

2. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებების გამგეებს ვავალებ: დასახელებულ თანამდებობაზე ახლად დასამტკიცებელი პირი მოავლინოს საქართველოს სსრ-ის განათლების სამინისტროში და დაუშვას ახალ სამუშაოზე, ჩემი ან ჩემი მოადგილეების მიერ ბრძანებით მიღებულ გადაწყვეტილების შემდეგ;

3. საქართველოს სსრ-ის განათლების სამინისტროში გამოცხადებისას დასახელებულ თანამდებობაზე ახლად დასამტკიცებელმა პირებმა განათლების განყოფილების გამგის შუამდგომლობისა და სამსახურებრივ დახასიათებასთან ერთად თან უნდა იქონიონ დიპლომი ან მოწმობა განათლების შესახებ და პირადი საქმის შესადგენად საჭირო ყოველგვარი საბუთები.

4. აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა ინსპექტორი, პედკაბინეტის გამგე (ან მეთოდისტი), საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ა/წ პირველ მარტიდან დაინიშნებიან მათი სათანადო რესპუბლიკის განათლების მინისტრთან ან ოლქის განათლების განყოფილების გამგესთან პირადად გამოცხადებისა და საბუთების გაცნობის შემდეგ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 534

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 10 მარტი

მცხეთის რაიონის მოზრდილთა საშუალო სკოლისა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შემოწმების შედეგების შესახებ

მცხეთის რაიონის მოზრდილთა საშუალო სკოლისა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ რიგ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი და საორგანიზაციო მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მაგალითად, სოფ. ძალისის მოზრდილთა საშუალო სკოლას აქვს წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმა, ყველა მასწავლებელს აქვს თავიანთ საგნებში წლიური სამუშაო გეგმები. მასწავლებლები სისტემატურად ადგენენ გაკვეთილის გეგმას. მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია სრულ წესრიგშია მოყვანილი. მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები აღკვეთილია. საპროგრამო მასალის გავლაში სკოლას ჩამორჩენა არა აქვს. წერითი ნორმები სრულდება, ხოლო წერითი ნამუშევრების გასწორების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მოსწავლეთა აკადემიური წარმატება დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლები.

კარგ მაჩვენებლებს იძლევიან აგრეთვე ცალკეული საგნების სწავლების დაყენების საქმეში, მისაქციელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, სასხორის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის მასწავლებელი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მცხეთის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლას მუშაობაში საგრძნობი დეფექტები გააჩნია. ცალკეულ სკოლებში არ არის შედგენილი წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა, აგრეთვე სამუშაო გეგმები ცალკეულ დისციპლინებში, არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა პირადი საქმეები (მისაქციელის, ზემო-ნიჩბისის, ქვემო-ნიჩბისის, სასხორის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები).

ზოგიერთი სკოლა არ არის დაკომპლექტებული კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. მაგალითად, მისაქციელის საშუალო სკოლასთან არსებულ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მე-4 კლასის რუსული ენის მასწავლებელი ე. შარაბიძე ამ საგნის სწავლებას თავს ვერ ართმევს. მისი ჩანაწერები სასკოლო ჟურნალში: „Наша сад", „в тфилиси", „Наша всад", „Как миша спас поезд", В Городе" და სხვა ნათლად მეტყველებს ამხ. შარაბიძის რუსული ენის უცოდინარობაზე, მოსწავლეთა მცდარ გამოთქმებს მასწავლებელი ვერ ამჩნევს და არ ასწორებს. რუსული ენის გაკვეთილი მასწავლებელს ქართულ ენაზე მიჰყავს და ვერ ახერხებს ლექსიკურ ვარჯიშს. წერითი ნამუშევრების ნორმები მინიმალურადაც არ სრულდება და თვით ნამუშევრებში მრავალი შეცდომა გაუსწორებელია. ამის შედეგად აღნიშნული კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენაში ძალზე დაბალია.

სოფ. ვაზიანის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლაბაურს არა აქვს სამუშაო გეგმები, იგი არაა დაუფლებული საგანს და ამ საგნის სწავლების მეთოდებს, გაკვეთილს ორგანიზაციულად ვერ ატარებს, წერით ნამუშევრებს არასწორად ასწორებს, მასწავლებელს არ უვარგა გამოკითხვის ტექნიკა და სხვ.

კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უგულებელჰყოფს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მიმართ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ადგილი აქვს მოსწავლეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნის შემთხვევებს (ზემო და ქვემო ნიჩბისი, ქსოვრისი, სასხორი), რის გამოც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ხშირად აცდენს გაკვეთილებს.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილება ვერ უწევს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებს. მეთოდური მუშაობა რაიონში სუსტია. არ ექცევა სათანადო ყურადღება, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მომარაგებას სახელმძღვანელო წიგნებით, მოწყობილობით, საკლასო ჟურნალებით და სხვ.

ვბრძანებ:

წინადადება მიეცეს:

1. მცხეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მგალობლიშვილს გააძლიეროს დახმარება და ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე, ზუსტად დაადგინოს საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობა, გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი, წერითი ნორმების შესრულებისა და წერითი ნამუშევრების გასწორების მდგომარეობა და გაუწიოს სკოლებს ადგილებზე დახმარება ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

2. სახალხო განათლების განყოფილებამ და სკოლების დირექტორებმა დააყენონ საკითხი რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა შორეულ ადგილებში სამუშაოზე გაგზავნის დაუშვებლობის შესახებ და შეუქმნან მოსწავლეებს ნორმალური პირობები მეცადინეობაზე სისტემატური დასწრებისათვის; ათი დღის განმავლობაში მოაწესრიგონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სისტემაში მოიყვანონ სკოლის დოკუმენტაცია.

3. რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ უზრუნველჰყოს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები სახელმძღვანელოებით, რვეულებით, სასკოლო ჟურნალებით, მოსწავლეთა პირადი საქმეებით და სხვა საჭირო სასწავლო ნივთებით, თანაბრად მასობრივი სკოლებისა.

4. სოფ. მისაქციელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მე-4 კლასის რუსული ენის მასწავლებელს ე. შარაბიძეს მომავალი სასწავლო წლიდან ჩამოერთვას აღნიშნული გაკვეთილები, როგორც ამ საგნის არასპეციალისტს.

5. მიღებულ იქნეს ცნობად სახალხო განათლების განყოფილების გამგის განცხადება იმის შესახებ, რომ სოფ. ვაზიანის (დამპალოს) სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მე-5 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ლაბაური განთავისუფლებულია სამუშაოდან, როგორც სუსტი მუშაკი.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნას სოფლის ახალგაზრდობის ყველა სკოლის პედსაბჭოზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 529

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 10 მარტი

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2, 5 და 9 საშუალო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2, 5 და 9 საშუალო სკოლებში მიმდინარე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მდგომარეობის შემოწმებამ დაადასტურა, რომ № 5 და № 2 სკოლებმა ძირითადში გეგმიანად წარმართეს თავისი საქმიანობა, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე.

აღნიშნული სკოლები უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლებით, მომარაგებულია სახელმძღვანელოებითა და რვეულებით მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღიდანვე შედგენილი აქვთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წლიური გეგმები, აგრეთვე სამუშაო გეგმები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში, სათანადოდ არის დაყენებული მოსწავლეთა დასწრებისა და წარმატების აღრიცხვის საქმე, სასკოლო დოკუმენტაცია და მოსწავლეთა პირადი საქმეები უმრავლეს შემთხვევაში სათანადო წესრიგშია მოყვანილი.

1947/48 სასწავლო წლის მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზებულად ჩატარების შედეგად ამ სკოლებში ნორმალურად მიმდინარეობს პროგრამებით გათვალისწინებული მასალების გავლა და შეთვისება.

მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 5 საშუალო სკოლაში სათანადო წესრიგშია მოყვანილი სასკოლო დოკუმენტაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეები, სათანადოდ მოვლილია საკლასო ჟურნალები, სწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში სწორად

და სუფთად შეტანილია მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი და მე-2 მეოთხედების შედეგები. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამხ. დ. ზვიადაძე და ავთ. კვასხვაძე პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილისათვის, ადგენენ გაკვეთილის გეგმებს, ლიტერატურული მასალის გავლისას იმეორებენ ენობრივ მასალასაც, სათანადოდ შერჩეული აქვთ საკონტროლო სამუშაოთა თემები, ნორმით დადგენილი რაოდენობით ჩატარებული აქვთ საკონტროლო წერითი სამუშაოები.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამხ. ამხ. ქუთათელაძე, მ. წიფურია და სიდორენკო (მე-5 სკოლა); მაკაროვა (მე-2 სკოლა) და ტ. დელოვა (მე-9 სკოლა) კარგად ატარებენ გაკვეთილებს, ლიტერატურული მასალის გარჩევისას აწარმოებენ ტექსტის ლოგიკურ და ლექსიკურ ანალიზს, მოსწავლეებს ავარჯიშებენ წინადადების სწორად აგებისა, მართვისა და შეთანხმების წესებში, ენობრივი მოვლენების შესწავლისას მჭიდროდ უკავშირებენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ გარჩევას, რის შედეგად მოსწავლეთა საკმაოდ დიდ ნაწილს სათანადოდ გაცნობიერებული აქვს შესწავლილი ლიტერატურული ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება.

კარგად აქვთ დაყენებული საგნის სწავლება მათემატიკის მასწავლებლებს ამხ. ამხ. გ. კიკვაძესა და ს. ვაშაყმაძეს (მე-5 სკოლა და ი. გევორქიანს (მე-9 სკოლა), ანთროპოვს (მე-2 სკოლა), ფიზიკის მასწავლებლებს ამხ. ამხ. შ. აბაიშვილს (მე-5 სკოლა) და ამხ. დიმიტრიევას (მე-9 სკოლა), ქიმიის მასწავლებელს ს. ტაბიძეს (მე-5 სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელს ა. გრიგორიანს (მე-9 სკოლა) და ისტორიის მასწავლებელს ჩურგუნიანს (მე-2 სკოლა).

ამასთან ერთად ზოგიერთი სკოლის მუშაობაში შენიშნულია არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის № 9 სკოლაში სრულ წესრიგში არ არის მოყვანილი მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ჟურნალები, კერძოდ, ადგილი აქვს ამ ჟურნალში ზოგიერთი მოსწავლის მეოთხედური ნიშნების შეუტანლობის შემთხვევებს (მე-6 კლასის ხელმძღვანელი ამხ. სურგულაძე), მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების სააღრიცხვო ჟურნალებში აღსანიშნავია ნიშნების ცუდად ჩაწერისა და გადასწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შემთხვევები (მე-7 კლ. ხელმძღვანელი ა. გრიგორიანი, მე 8 კლ. ხელმძღვანელი ი. მალახოვი, მე-9 კლ. ხელმძღვანელი ი. გევორ-ქიანი). სათანადოდ არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა პარადი-საქმეები. მაგალითად, 134 მოსწავლეთაგან 40 მოსწაკლეს წარმოდ-გენილი არა აქვთ მეტრიკული ამონაწერი, 16 მოსწავლეს არ მოე-პოვება ცნობა სამუშაო ადგილიდან, ხოლო ზოგიერთს მოწმობა რვა-წლედის დამთავრების შესახებ. ამავე მე-9 სკოლაში საკმაოდ მრა-ვალრიცხოვანია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვე-ვები. ამ სკოლის ზოგიერთი მოსწავლე სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს, მაგრამ სკოლას მათ მიმართ არა აქვს მიღებული სათა-ნადო ზომები. მაგალითად, მე-6 კლასის მოსწავლეებს—იაკოვეცსა და კლიმენკოს გაცდენილი აქვთ—პირველს 24, ხოლო მეორეს—18 დღე, მე-7 კლასის მოსწავლეებს სადოვოის და პალიანს 25 და 28 დღე-მე-8 კლასის მოსწავლეს კრიმჩევას—29 დღე, მე-9 კლასის მოსწავ-ლეებს მაროიანს—29 დღე და ხურშუტოვს—31 დღე, მე 11 კლასის მოსწავლეებს ჩერნიშევას—21 დღე და ორლოვს –25 დღე.

აღსანიშნავია, რომ სკოლის შემოწმების პირველ დღეს მე-6 კლასში გაკვეთილს 15 მოსწავლეთაგან ესწრებოდა 6 მოსწავლე, მე-9 კლასში 23 მოსწავლეთაგან გაკვეთილს ესწრებოდა 14 მოსწავ-ლე, ხოლო მე-11 კლასში 31 მოსწავლეთაგან—22 მოსწავლე. სკოლის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე უსინათლობა, რის შე-დეგად სკოლაში რამდენიმეჯერ ჩაიშალა მეცადინეობა.

ამასთანავე ამავე სკოლაში ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას ცალკეული სასწავლო საგნების პროგრამული მასალის გავლაში. მა-გალითად, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ამხ. ტ. დელოვას ავადმყოფობის შედეგად პროგრამით გათვალისწინებუ-ლი მასალის გავლაში მე-9 კლასი ამ საგანში ჩამორჩენილია—20 სა-ათით, მე-10 კლასი—10 საათით, ხოლო მე-11 კლასი—22 საათით. ერთგვარ ჩამორჩენას აქვს ადგილი მათემატიკაში ამავე სკოლის მე-11 კლასში, რის გამო ვერ ჩატარდა განათლების სამინისტროს მიერ გათვალისწინებული წერითი საკონტროლო სამუშაო გეომეტრიაში. საგრძნობლად ჩამორჩენილია პროგრამული მასალის გავლა აგრეთვე ისტორიაში. არადამაკმაყოფილებელია ამ სკოლაში მოსწავლეთა აკა-დემიური წარმატება, რადგან სასწავლო წლის მე-2 მეოთხედის შე-დეგების მიხედვით 134 მოსწავლეთაგან ვერ ასწრებს 52 მოსწავლე, ხოლო შეუფასებელია 12.

სუსტად არის დაყენებული ზოგიერთ სკოლაში ცალკეული სას-

წავლო დისციპლინების სწავლება, რის შედეგად მოსწავლეთა ცოდნა ამ საგნებში არ არის მტკიცე და საკმარისი.

სუსტად აქვთ დაუფლებული რუსული ენა (მასწ. ი. მალაბარი) მუშა ახალგაზრდობის № 9 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებს, რომელთაც არა აქვთ გამომუშავებული ზეპირი მეტყველების მტკიცე ჩვევები. დაბალია ამ მოსწავლეთა საერთო განვითარების დონე, რიგ შემთხვევაში ისინი ძნელად ერკვევიან ენობრივ მოვლენებსა და წესებში. ანალოგიური მდგომარეობაა მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლაში, სადაც დაბალია მე-7 კლასის მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურის დონე რუსულ ენაში (მასწ. მიხ. სადრაძე).

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნა ისტორიაში მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლის მე-11 კლასში (მასწ. მ. ჯოგლიძე). მოსწავლეთა უმრავლესობას სუსტად აქვს შეთვისებული ქრონოლოგია, უძნელდებათ ისტორიული ადგილებისა და ზოგჯერ სახელმწიფოს საზღვრების აღნიშვნა რუკაზე, თანმიმდევრულად ვერ მოგვითხრობენ ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების მოღვაწეობაზე და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების მიუხედავად, მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლები ვერ სარგებლობენ მასობრივი სკოლების სასწავლო კაბინეტებითა და მოწყობილობით. ამასთანავე, ზოგიერთი სკოლის დირექტორები არ ღებულობენ სათანადო ზომებს მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენების წინააღმდეგ, რისთვისაც არ უკავშირდებიან წარმოება-დაწესებულებათა პარტიულ, პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებითა და გატარებით მეცადინეობაზე მოსწავლეთა დაკლება-დაგვიანების შემთხვევათა აღსაკვეთად. კერძოდ, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 9 საშუალო სკოლის მუშაობაში არსებული ხარვეზი უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ამ სკოლის დირექტორი ამხ. მ. მხეიძე სისტემატურად არ იყო ადგილზე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში, რისთვისაც სკოლა მოუმზადებელი შეხვდა სასწავლო წელს, დროულად არა აქვს ჩატარებული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი მოსწავლეთა დაკომპლექტების, სასკოლო დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და სხვა დარგში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წინადადება მიეცეს თბილისის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორებს:

ა) უმოკლეს ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ, უზრუნველჰყონ მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება, მუშა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ არსებული დებულებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო მითითებათა შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევათა წინააღმდეგ, რისთვისაც უშუალოდ დაუკავშირდნენ საწარმოთა და ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელობას, პარტიულ, პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სათანადო ღონისძიებათა დასასახავად და გასატარებლად;

გ) გაკვეთილებზე სისტემატური დასწრებით შეამოწმონ ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში პროგრამებით გათვალისწინებული მასალის გავლის მდგომარეობა და მოსწავლეთა აკადემიური მომზადება, უზრუნველჰყონ წერითი სამუშაოების ჩატარება დადგენილი ნორმების შესაბამისად და მიიღონ ეფექტური ზომები მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის.

2. დაევალოს მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს:

ა) გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები, გაამახვილონ ყურადღება როგორც წერითი, ისე ზეპირ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე, ზუსტად შეაფასონ მოსწავლეთა ცოდნა და კონსულტაციების სისტემატურად ჩატარებით უზრუნველჰყონ პროგრამული მასალის მთლიანად და სათანადო ხარისხით გავლა;

ბ) ყველა გაკვეთილზე აწარმოონ გავლილი მასალის გამეორება, მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასება და საკლასო ჟურნალში შეტანა, გაკვეთილებზე ფართოდ აწარმოონ ცდების დემონსტრირება და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ხელსაწყოების გამოყენება, ამასთანავე სისტემატური დახმარება გაუწიონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

3. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 9 სკოლის დირექციამ კონსულტაციების სისტემატური ჩატარებით უზრუნველჰყოს მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ისტორიის პროგრამული მასალის გავლაში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდირება.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო პედაგოგიურ კაბინეტს, მასობრივი სკოლების თანაბრად, გაუწიოს სათანადო დახმარება მუშა

ახალგაზრდობის სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ დაყენების საქმეში.

5. თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ მიიღოს საჭირო ზომები სასწავლო მიზნით მუშა ახალგაზრდობის სკოლების მიერ მასობრივი სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და სხვა კაბინეტის გამოყენების საკითხის მოსაწესრიგებლად.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად გაუწიოს მუშა ახალგაზრდობის სკოლებს მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის დახმარება, სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების სათანადოდ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაში.

7. აღინიშნოს, რომ თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 9 საშუალო სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ამ სკოლის დირექტორის ამხ. მ. მხეიძის სუსტი მუშაობისა და არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგია.

დაევალოს განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილებასთან ერთად, უმოკლეს ვადაში დამატებით შეისწავლოს ამხ. მ. მხეიძის მუშაობა, აღნიშნულ სკოლაში დირექტორის თანამდებობაზე მისი დატოვების შესაძლებლობის თვალსაზრისით და შედეგები მომახსენონ მე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 531

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წ. 10 მარტი,

წალკის რაიონის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

წალკის რაიონის სოფ. დაშბაშის, ს. ხარაბას, წალკის, ქიარიაქის, ბაშკოვის, ყარაკომის, ა. სარვანის, ჩომენის, თეჯინის, წინწყაროს, ბეშთაშენის, თ. ქილისას და მოლოტოვის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლების, წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლისა და ხრამჰესის მუშა-ახლგაზრდობის საშუალო სკოლის მუშაობის მიმდინარეობის გამორკვევის შედეგად წარმოდგენილი მასალებით დადასტურებულია, რომ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლები, აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლები უზრუნველყოფილი არიან სასკოლო ბინებით, გათბობით, განათებით, სარგებლობენ მასობრივი სკოლების ინვენტარით, მოწყობილობით, სასწავლო ხელსაწყოებით; დაკომპლექტებული არიან დირექტორთან და მასწავლებელთა კადრებით. სოფლის ახალგაზრდობის რიგ სკოლაში (დაშბაშის, წალკის, თ—ქილისას, მოლოტოვის, ბეშთაშენის) მოწესრიგებულია სასკოლო დოკუმენტების დაცვისა და საკლასო ჟურნალების წარმოების საქმე. მეცადინეობა სწარმოებს სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი ცხრილის მიხედვით და დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ცალკეული დისციპლინების სწავლება.

ამასთან ერთად რაიონის სოფლის ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლას, მოზრდილთა საშუალო სკოლასა და მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

მაგალითად, ა. სარვანის (დირექტორი ნასიბოვი), ჩოჩენის (დირექტორი, ოდ. შახგულოვი) ს. ხარაბას (გამგე იოანიდი) სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში და წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ყარიბოვი) არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, პედსაბჭოს სხდომაზე არ არის განხილული და დამტკიცებული სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების გეგმები არ ითვალისწინებენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სპეციფიურ პირობებს, რის გამოც ისინი მასობრივი სკოლების გეგმების უბრალო ასლს წარმოადგენენ.

ს. ხარაბას სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ (გამგე იოანიდი) აღრიცხულ მოსწავლეებიდან საგრძნობი ნაწილი ვერ ჩააბა რა სწავლებაში, ხოლო სასწავლებელში ჩაბმულ მოსწავლეთაგან ნაწილი ვერ შეინარჩუნა, რის შედეგად დაიხურა VI კლასი. ამ სკოლაში საფუძვლიანად არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ დამუშავებულ ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს. ა. სარვანის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში (დირექტორი, ნასიბოვი) საზოგადოდ მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, ამასთანავე მოსწავლეთა დიდ უმეტესობას პირადი საქმეები სრულებით არ გააჩნია. სკოლას არა აქვს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის პირობებს და ამოცანებს უპასუხებდეს- საკმაო რაოდენობით ლამპებისა და ნავთის უქონლობის მიზეზით არა იშვიათია ამ სკოლაში მეცადინეობის ჩაშლის შეთხვევები.

ზოგიერთი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და სასოფლო საბჭოები არ ეხმარებიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და არ უქმნიან ამ სკოლების მოსწავლეებს პირობებს მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრებისათვის, მაგალითად, ქიარიაქის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლენი იგზავნებოდნენ შორეულ სამუშაოზე, რის შედეგად ამ სკოლის მოსწავლეთა საკმაო რაოდენობა განითესა. მოსწავლეთა განთესვის გამო წინწყაროში დაიხურა VI და VII კლასები; თიაქ-ქილისში VI კლასი და მოლოტოვოში V კლასი. შორეულ სამუშაოზე მოსწავლეთა გაგზავნის შემთხვევებს და ამის გამო მეცადინეობის ხშირ გაცდენებს ადგილი აქვს აგრეთვე ს. ხარაბას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში.

ანალოგიური მდგომარეობაა ჩომენის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ოდშახვულოვი), სადაც 37 მოსწავლიდან ყოველდღიურად გაკვეთილებს აცდენს 15—20 მოსწავლე (განსაკუთრებით დიდია გაცდენა VI—VIII კლასებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების ხშირი და უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები შედეგია იმ გარემოებისა, რომ ამ სკოლის დირექტორები და კლასის ხელმძღვანელები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, არ უკავშირდებიან ადგილობრივ კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებს და მათთან ერთად არ იღებენ საჭირო ზომებს მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების უზრუნველსაყოფად.

წინწყაროსა და თიაქ-ქილისას სკოლაში მეცადინეობა დაიწყო ერთი თვით დაგვიანებით (1/XII), რამაც საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენა გამოიწვია. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული წერითი კულტურის საქმე. ხშირ შემთხვევებში არ ტარდება წერა დაწესებული ნორმების მიხედვით, მაგალითად, თიაქ-ქილისას სკოლის მე-5 კლასში არითმეტიკაში (მასწ. თ. ტრაპეზანოვი) პირველ დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე საკონტროლო წერა ჩატარებულია ორჯერ. ამასთან ერთად 13 მოსწავლიდან საკონტროლო წერა შესრულებულა აქვს 6 მოსწავლეს, ნამუშევრები უსუფთაოა, წინწყაროს სკოლის მე-3 კლასში არითმეტიკაში საკლასო წერა (1/XII—14/I—ჩატარებულია ერთხელ, ხოლო რუსულ ენაში 2-ჯერ.

წალკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის VIII კლ. (მასწავლებელი პოპოვი) 16/XI-დან 14/I-დე საკონტროლო წერა რუსულ ენაში ჩატარებულია ერთხელ. მეტად დაბალია ამ კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის დონე, ნამუშევრებში დაშვებულია უხეში შეცდომები, მაგალითად „асень“, „усеани“, „даждем“, „жолтие“, „деревй“ და სხვ.

წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ყარიბოვი) მუშაობა არ არის ჩაყენებული ნორმალურ კალაპოტში: ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენას, მაგ. IX კლ. 22/IX—13—მოსწავლიდან პირველ გაკვეთილზე 8 მოსწავლე არ გამოცხადებულა; 21/X მეორე გაკვეთილი გააცდინა 7 მოსწავლემ; 12/I—მეხუთე გაკვეთილი მოსწავლეთა წასვლის გამო არ ჩატარებულა. მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა საკლასო ჟურნალებში ცუდად არის დაყენებული. დამუშავებულ მასალას ზოგიერთი მასწავლებელი სისტემატურად არ აღნიშნავს

საკლასო ჟურნალში, ზოგჯერ ჩანაწერები ძლიერ ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, „Решение задач“, „Решение примеров“, „Повторение“ და სხვ. საკლასო ჟურნალებში სისტემატურად არ იწერება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასება.

XI კლასის 19 მოსწავლიდან ალგებრაში (მასწავლებელი ყარიბოვი) საკონტროლო წერა შესრულებული აქვს 10 მოსწავლეს. პირველი და მეორე მეოთხედის განმავლობაში ჩატარებულ 5 საკონტროლო ნამუშევრიდან მოსწავლე პოპოვას შესრულებული აქვს 3, აზნაუროვას 4, ჯეირანოვას 2, ისაკოვს 3, ყურმაჩევს 2, უმოდუმოვს 1 და კუიმჩევს 1.

სკოლაში ადგილი აქვს გარღვევას სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამული მასალის გავლაში. მაგალითად, IX, X და XI კლასებში რუსული ენა და ლიტერატურა 1/IX-დან 25/XII-დე სრულებით არ ისწავლებოდა.

წალკის რაიონის ზემოაღნიშნულ სკოლებში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ სახალხო განათლების განყოფილება არ უწევდა ამ სკოლებს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას და ამასთან ერთად არ უზრუნველჰყო სკოლები სათანადო სახელმძღვანელო წიგნებით მასობრივი სკოლების თანაბრად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ტ ე რ ს ე ნ ო ვ ს:

ა) სისტემატურად შეამოწმოს რაიონში არსებული სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობა და შემოწმების შედეგები და დასკვნები ღონისძიებათა დასახვით წერილობით დაუგზავნოს თითოეულ სკოლას პედსაბჭოების სხდომებზე, ხოლო მასობრივ სკოლებთან არსებულ ცალკე კლასებში კი პედთათბირზე განსახილველად.

ბ) მომავალში გაუწიოს დახმარება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს, როგორც წლიურ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გეგმების, ისე ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სამუშაო გეგმების შედგენაში, ამ სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) უზრუნველჰყოს ყველა სკოლაში მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება და სკოლის მომარაგება სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წ. 8 იანვრის № 33 ბრძანებისა და 1946 წლის 5 აგვისტოს № 130 ინსტრუქციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღოს გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის აღსაკვეთად; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დააგინოს მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენის მიზეზები და დასვას საკითხი ადგილობრივ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების და იმ საწარმოთა ხელმძღვანელობის და კოლმეურნეობების წინაშე, რომლებიც საზეგანაკვეთო და შორეულ სამუშაოებზე გაგზავნით ხელს უშლიან მოსწავლეებს მეცადინეობაზე დასწრების საქმეში. შეისწავლოს და დასვას საკითხი იმ კლასების (ან სკოლის) დახურვის ან გაერთიანების შესახებ, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი მცირერიცხოვანია და მისი შევსების პერსპექტივა არ არსებობს.

2. წინადადება მიეცეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა განთესვისა და უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ. ერთი დეკადის განმავლობაში წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები, წესიერად აწარმოონ საკლასო ჟურნალში მოსწავლეთა დასწრების და აკადემიური წარმატების აღრიცხვა და განვლილი მასალის ფიქსირება. არ დაუშვან სკოლაში ისეთი გეგმით მუშაობა, რომელიც ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ითვალისწინებს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მუშაობის თავისებურებას.

3. თიაქ-ქილისას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის V კლასის არითმეტიკის მასწ. ე. ტრაპეზანოვს მიეთითოს არითმეტიკის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და წერითი მუშაობის ნორმების შეუსრულებლობისათვის.

4. წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურაში პროგრამული მასალის გავლაში ჩამორჩენისა, მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისა, საკონტროლო წერითი მუშაობის ნორმების შეუსრულებლობისა და მოსწავლეთა მეცადინეობაზე დასწრების მოუგვარებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს დ. ყარიბოვს, თუ ის საფუძვლიანად არ გარდაქმნის სკოლის მუშაობას, 1948/1949 სასწ. წლისათვის დაისვას საკითხი მისი ამ თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

5. დაეალოს წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ტერსენოვს, ხრამჰესმშენის სამუშაოთა ძირითადად დამთავრებასა და ამის გამო კლასების დაუშვირთველობასთან დაკავშირებით პირადად შეისწავლოს და ხრამჰესმშენის

/63

/63

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმინისტრაციასთან ერთად დაამუშაოს საკითხი ახალი 1948-49 სასწავლო წლიდან ხრამჰესის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დატოვების შესახებ და წერილობითი დასკვნა წარმოადგინოს ამა წლის 1 აგვისტომდე.

6. კადრების განყოფილების უფროსმა ამხ. ი. კვაჭაძემ ერთი დეკადის ვადაში შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატი წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სოფლისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად.

7. წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ტერსენოვს მიეთითოს რაიონის სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებზე არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობისათვის.

ვაფრთხილებ ამხ. ტერსენოვს, რომ უკეთუ იგი ხელმძღვანელობის გ ძლიერებით არ უზრუნველჰყოფს ამ სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას, მის მიმართ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას წალკის რაიონის სოფლის და მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების პედსაბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჯულაძე.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2, ფურცელაძის ქ. № 5.

უე09856. ტირაჟი—2000. შეკვეთა № 1404.